

00111

F 26
1866

33

Г Р У З И Н С К И Й

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1866.

АПРѢЛЬ.

სამართუბლოს

სახულოე რე მახარებელი.

სპეციალი.

ჩუკუ ვ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА И К^о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* (18⁶⁴/₆₅) годъ.

Независимо отъ журнала продаются: ‘Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, на груз. яз. по 40 к. с. и ‘Краткая Свящ. Исторія,,—по 20 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

სეჲლისმცოდნეობის უწყისაჲსეჲდ მიიღება ტიფლისის სემინარიაში, რედაქტორის სახელსეჲდ. ფასი წლის უწყისაჲსა, ესე იგი 12 წიგნისა შინ მიტანით და სხუა ქუჭყენებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან. მარტო რუსულსათჳს ერთი მანეთი. ამავე ფასათ შეიძლება გამოწერა დანაშთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის უწყისაჲსა.

ცალკე იხილება: “ადვილსახსმენელად გამოხატუა მართლმადიდებელის საწმენოების დოქმატიკურისა სწავლისა,, ორ აბაზ. და „შემოკლებული საღმრთო ისტორია,, აბაზათ თჳთო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

35

მოსხენებისათვის მიცნალებულთასა.



88

კეთილმსახური საქმე ვედრებად ღუთისა მიმართ მიცნალებულთათვის ზსწარმოებს სარწმუნოებისაგან, რომელსა იქმს ჩუქნ შორის მადლი. ვითარ შესაძლებელაჲს ცნობად, თუ რაჲ ჯერაჲს განზრახუაჲ სულთათვის, უკეთუ არა შემაგონებს ჩუქნ წმიდა სარწმუნოება? სარწმუნოება გამოაჩენს საიდუმლოსა კაცთა სხნისასა და გუასწავებს ვედრებასა ღუთისა მიმართ ცოდვილთათვის, რომელნიცა გარდაცნალებულაჲნი სარწმუნოებასა შინა მსხველმისასა. სარწმუნოებამან გამოაცხადის უხილავი, სულიერი: სარწმუნოება არს მოხვთა მათ ძალ, საქმეთა მამსილებელ არა ხილულთა (ა). წმიდანი მოციქულნი და განმავრცელებელნი ქრისტიანეთა სარწმუნოებისანი აღიარებენ არა ხოლო თუ მაცხოვარებითად, არამედ თვრითად საჭიროდცა მოხსენებასა სულთა მიცნალებულთა ნათესავთა და ძმთა ჩუქნთასა, ვითარცა აღსასუბუქებელად მათდა ჯოჯოხეთისა სატანჯუჭულთაგან ცოდუთათვის მათ მიერ ქმნილთა, ეგხსკედ ჩუქნისა შეწყალებისათვის აწინდელსა და მერმესა შინა ცხოვრებასა; ამასვე

(ა). ებრაელთა თავი ია, მუხლი ა.

მიუცილებელად ვალად გვდებს ეკკლესიაცა, ვითარცა ერთსა ქრისტიანებრივსა ქრისტეს-მეძემედებსა. მოთხოვრებათა შინა საეკკლესიოთა და წიგნთა შინა წმიდათა მამათასა ჩუქნი კვბოებით მრავალთა მაგალითთა, ვითარმედ მოხსენებასა მიუციეს დიდი სარგებლობაჲ, ვითარცა მიცნალებულთათჳს, ეგრეთვე მოხსენებულთათჳსცა. წმიდა კირილლე მთავარეპისკოპოსი იერუსალიმელი ჳწასკლასა შინათჳსსა, რომლითაცა განმარტებს ლიტურგიასა მორწმუნეთასა, მსმენელთა თჳსთა ეტყვის: “ ჩუქნი მოვიხსენებთ პირუქნ-გარდაცნალებულთა: პირუქნად პატრიარხთა, წინასწარმეტყუქლთა, მოციქულთა, მოწამეთა, რათა ვედრებითა და მეხებითა მათითა ღმერთმან შეიწინაწინეს ლოცუანი ჩუქნნი; მერმე ვეკედრებით გარდაცნალებულთა წმიდათა მამათა და ეპისკოპოსთა თჳს და დასასრულსა ყოველთა ჩუქნი შორის გარდაცნალებულთა თჳს, მტკიცედ გვრწამს, ვითარმედ დიდად მარგებულ-ქმნების სულთა მათ, რომელთა თჳს შეიწინაწინეს ლოცუანი, მას ყამსა, ოდეს წმიდა და საშიშინელი მსხუქრპლი წინადადებულასს საგურთხეველსა ზედა... ”

ნეტარი ავლუსტინე შესმასა შინა კეთილ-მხახურებისათჳს და სიუქარულისა იტყვის: “ ისმინეთ, ძმანო, არა გლახაკთა მხოლოდ ჯერასს მიცემად წყალობისა, ყამსა სიცოცხლისა ჩუქნისასა, არამედ თანამდებ-ვართ ვახვენოთ წყალობაჲ მიცნალებულთაცა ზედა. იუდა მაკკაბელმან ჳსთქუა: “ წმიდაასს განზრახუა ყოფად ვედრებისა მიცნალებულთა თჳს, რათა მიეტევინ ცოდვანი... ვინადგან იუდა იცოდა, რამეთუ არა ვის ძალ-უმს თქმად, ვითარმედ უცოდველ ვარ, უკეთუ განვიზრახავთ, რომელ ყრმაცა, რომლისაცა ცხოვრებაჲ იყოს ერთი ოდენ დღე, არა არს უცოდუქლ. ჩუქნი ყოველნი ცოდვილნი ვართ, ცოდუათა შინა მიდგომილნი და შობილნი და ცოდვიანსა ცხოვრებასა განვატარებთ რა, ცოდუათა შინა მოვქუქდებით. ამისგამო ჩუქნი ყოველთა თჳს საჭირო არს მოწყალებაჲ, ვინა-

დოგან ჩუწნითა მსახურებითა საუკუნესა ცხოვრებასა ვერა მოვიგუ-
ბთ. გნებაჲსა, რათა ღმერთი იყოს შენი მოწყალე? იყავნ შენცა
მოწყალე მოყუხისა შენისა. და ესრეთ ილოცვიდი მიცუალებულთა
თჳს, რათა იგინიძცა, რაჲჲმს იყუნენ სანატრელსა შინა ცხოვრე-
ბასა, ილოცვიდენ შენ-თჳს.

მსხუწლისათჳს, რომელიცა მოწყალე-ჰყოფს ღმე-
რისა და განათავისუფლებს სატანჯუწლთაგან სულ-
თა ცოდვილთასა.

მოსხენებასა მიცუალებულთასა, ესე იგი ვედრებასა სულთა მათ-
თათჳს, მართლ-მადიდებელი ეკკლესია ძუწლადგანვე გუხსწაკებს
ჩუწნ. კეთილ-მსახურმან ამან საქმემან მოიღო ძალი თჳსი სარწ-
მუნობისაგან; და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ღოცუასა შინა
სარწმუნობით, გეყოს თქუწნ (ა). უკეთუ ვედრებაჲ ერთისა მარ-
თლისა ყოველისა ერისათჳს იყო რდესმე ძლიერ მოწყალე-ყოფად
ღუთისა; მაშა ნუ უკუწლ ღოცუაჲ აღკლენილი ყოველისა მიერ
მარწმუნისა ერისა შეუსმენელ-ქმნებისა? ნამდვილთა ამათ საშუა-
ლობათა შესაწყალბელთა ეკკლესია შეაკრთებს უძლიერესსა შეწირ-

(ა). მათე თავი კა, მუხლი კბ.

ჟასა განსაწმენდელისა მსხუჭრზლისასა, ტარისა, უწინარეს საუკუნეთა დაკლულისა, მიცუალებულთა ცოდუათათჳს. უხისხლასა მსხუჭრზლსა მარადის შეწირუდასა საკურთხეველსა ზედა, რომელიცა არს სახე და განგრძობა ყოვლისა სოფლისა მსხუჭრზლისა. ერთგონის შეწირულისა გოლგოთასა ზედა, აქჳს დიდი ვიდრემე გოლგოთის ამის მსხუჭრზლისაგან მოღებული ძალი და ჭეშმარიტება, რომელიც იგი არა განისაზღვრების, არცა ხივრცითა, არცა უამითა, არამედ თანასწორად გარდაუთინების ცხოველთა და მკუდართა ზედა. აქა უკუჭ არა კაცთა შუამდგომელობს კრულთათჳს ჯოჯოხეთისა, არამედ თჳთ დაუხრულებელი, საუკუნო გუამოვანი სიუჭრული მამისა მსოფლოდშობილი ძე ღუთისა, რომელი არს შუამდგომელი ღუთისა და კაცთა, (ა), შუამკვლობს მათთჳს. ღმერთი, ყოვლადსახიერი მამა, არსებისაებრ თჳსისა, ოდესმე ვედრებისათჳს მონისა თჳსისას, შემწუნარებელი ერისა, რომელი იგი დასჯილად იწარსაწმენდელად, შუამდგომელობითა მსოფლოდშობილისა მისა თჳსისათა, არა მისდრკებსა წყალობად ცოდვილთა ზედა, რომელიცა შეპყრობილარისან ჯოჯოხეთს შინა (ბ)? ამას ესრეთჳს განჯსჯის წმიდა კირილე იერუსალიმელი: “უკეთუძცა ერთმან ვინმე მეფეთაგანმან წარგზავნეს მასწინებელი თჳსნი ექსორიად, ხოლო მასლობელთა მისთა შეჭსთხონ გვირგვინი და მიაწთჳსან მეფესა დასჯილთა მათთჳს: არა აღუხუბუქოსა მეფემან სატანჯველი? მსგავსადჳს ამისა, ჩუჭნცა მიცუალებულთათჳს, უკეთუ ცოდვილნიცა იუჭნენ, აღვაკლენთ ვედრებასა ღუთისა მიძართ და არა გვირგვინსა შეკთხავთ, არამედ ცოდუათა ჩუჭნთათჳს დაკლულსა ქრისტესა შეკწირავთ რათა მოწყალეჳქმნას მათ და ჩუჭნცა კაცთამოუჭარე ღმერთი,, (ბ).

(ა) ა ტიძოთ. თავი ბ, მუხლი (ბ). ა პეტრე თავი გ, მუხლი ით.
(ბ). ჭსწაკლანი საიდუმლოთათჳს თავი ე, გვერდი უღგ.

ქსწავლა მართლმადიდებელის ეკკლესიის მიხედვით ჩვენ, თუ რადენ სასარგებლოა მოხსენება მიცნალებულთა, უძეტესად წმიდას ეკკლესიას შინა ყამს საღმრთოა წირვისას; ვინათგან რად მღუდელი აღმოიღებს სებისკვირად ნაწილთა მიცნალებულთათვის, მაშინ ცოდუანი იმთნი ჭითაიფულის სისხლს შინა ქრისტესსა. საღმრთოსა ამას საიდუმლოსა შინა, თუთ ქრისტე არს მღუდელი და მსხუტრული (ა); შუამდგომელი ღუთისა და გამმედელი ცოდუათა (ბ). უსახიდლო სისხლი მისი, ცოდვილთათვის დათხუელი, დაუდუმებლად ღაღაღებს საუკუნოა მიმართ მსაჯულისა, ღუთისა მამისა, და ეკედრების შეწუალებისათვის. ყოველთა მიცნალებულთათვის ერთი არს იმედი გამოსხნისა საუკუნოა და დროებითისა სატანჯუტლისაგან — უსისხლო მსხუტრული, იესო ქრისტე მე ღუთისა.

წმიდათა მოციქულთა და მოძღუართა წმიდისა ეკკლესიისათა განუძარტეს მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა სარგებლობა მიცნალებულთა მოხსენებისა. წმიდათა მოციქულთა თუალთა წინაშე აქუნდათ, ვითარმედ ძუტლსაცა შინა აღთქმასა მოხსენებდენ მიცნალებულთა, ვითარცა ჭხანს წიგნსა შინა მაკვებულთასა. იუდა მაკვებელმან შეტკობსა რიი ათასი დრაქმა ვეტსლი და წარგზავნს იერუსალიმს შესაწირავად მსხუტრულისა ცოდუათათვის მოკლულთასა (ბ). ასაღსა აღთქმასა შინა მოხსენება მიცნალებულთა დაწუებულთა წმიდათა მოციქულთა მიერ. იაკობ ძმა უფლისა, ზირუტლი ეპისკოპოსი იერუსალიმისა, ლიტურგიასა შინა მის მიერ დატკებულსა, მიცნალებულთათვის ესრეთ ეკედრების: “უფალო ღმერთო

(ა). ებრაელთა თავი ზ, მუხლი იზ. (ბ) ა ტიმოთ. თავი ბ, მუხლი ე.

(ბ). ბ მაკვებულთა თავი იბ, მუხლი ძგ.

სულთან და ყოველთა ხარცელთა, მოხსენე იგინი, რომელნიცა ჩუქნი მოვიხსენეთ, ახელ მართლისათ, ვიდრე დღეინდელად დღედდე; შენ განუსვენე მათ საყოფელსა ცხოველთასა, სასუფიქელსა შენსა, სიტკბობათა შინა სამოთხისათა, წილთა შინა აბრამ, ისაკ და იაკობისათა, წმიდათა მამათა ჩუქნითა; სადა იგი არა არს არცა ჭირი, არცა მწუხარება, არცა სულთქმა,..

მართლმადიდებელი ბერძენთაროსნიული ეკლესია ყოველსა დღეს ეკედრების უფალსა ღმერთსა მიცნალებულათაჲს, ოდეს იგი აღესრულების ყამის წირუა.

წმიდა ვასილი დიდი უბრძანებს ძღუდელსა, რათა შემდგომად გურთხევისა წმიდათა ძღუქნითასა, ესრეთ ილოცვიდეს მიცნალებულათაჲს: “მოხსენე, უფალა, ყოველნი პირუქნელ გარდაცნალებულნი სასოებითა აღდგომისა ცხოვრებისა საუკუნოსათა. გეკედრებით განსვენებისათჲს და მიტეუებისა სულისა მონისა შენისა (სახელი) აღგიღსა ნათლისასა, სადა იგი არა არს მწუხარება და სულთქმა. განუსვენე ღმერთა ჩუქნელ და მუნ დაამკვიდრე, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა,.. (ა).

წმიდა იოანე ოქროპირი ჭსწავლათა შინა თჳსთა იტყვის: “არა ამოდ დაწესებულარს მოციქულთა მიერ, რათა მოვიხსენებდეთ მიცნალებულთა წინაშე საშინელთა საიდუმლოთა. მათ უწყოდნენ, რამეთუ მოხსენებისაგან იქმნების მკუდართათჲს დიდი სარგებლობაჲ. ვინაჲდგან ოდესცა ყოველი ერი და სამღუდლო კრებული ჭსდგას განპურობილთა სელითა, და ოდესცა წინამდებარეარს საშინელი მხსუჭუბლი: ვითარ არა მოწყალე-ყოთ ღმერთი, რომელსა ეკედრებით მიცნალებულათაჲს (ბ)?

(ა). წირვა ვასილი დიდისა.

(ბ). განმარტება ფილ. ეპისტ. თავი ა, ვანონი გ.

კუალადცა ესრეთ გუასწავებს:,, არა მდეს არ უნდა ვიტიროთ სიკუდილისათჳს მართლისა, არამედ უმეტესად გუმაწთებს სიხარული, ამისთჳს ვითარმედ განვიდა იგი განუხვევებელისა ამის ცხოვრებისაგან საუკუნოსა განსვენებისა მიმართ. ჟერასის, რათა ესტიროდეთ სიკუდილისათჳს ცოდვილისა კაცისა, მას ზედცა არა უიმედოდ: ვინაჲდგან ძალგვიძს, უკეთუ გვიდეს, გამოსხნაჲ მისი სატანჳსწლთაგან. სახელოდ, უკეთუ ვყოფდეთ მისთჳს სმიწად ვედრებათა და გაუცემდეთ მოწყალებასა. და თუძცა იგი არა იყოს თავით თჳსით ღირსი, გარსა ღმერთი იქმნების ჩუწნ მიერ მოწყალებ. ნუ ჳზრუნავ სათლავისათჳს და სამარხოთა ჳამბავთათჳს, არამედ გარემოს მკუდრისა დადგინე ქუჩიანი, ესე ვითარი დათლჳსა ღრისად დიდებულას. აუწყე სახელი მისი ყოველთა, აწიკინე მისთჳს და ალოცე. ესე მოწყალებ-ჳყოფს ღმერთსა, თუძცა არა თჳთ მიტუალებულისაგან სრულ-იქმნების, არამედ სხუა იქმნების მიხეზი მისისა წყალობისა. ესე არს მცნება კაცთ-მოუწარისა ღუთისა. გარდა ამისა: ღმერთმან მოგუწცა ჩუწნ ცხოვრებისათჳს მრავალნი წამალნი, უკეთუ არა ვიქმნებით მცონარნი. ხოლო მან რა ჳქმნას, რამელიცა ღარბი იყოს? ამასუდ გიჳასუხებ: რამეთუ სიდიდე მოწყალებისა თჳსობს არა რაოდენობისა მეზ და ვითარებისა მისაცემელთა, არამედ გულისმოდგინებისა მეზ წყალობის მიმცემელისა. მიეტი ეგოდენი მოწყალება, რაოდენიცა შეგეძლოს, და შენ ყოველივე მიგიცემიეს. და კუალად: არა ამოდ იქმნებიან მიტუალებულთათჳს მსხუზლისა შეწირუანი, ვედრებანი და მოწყალებანი. ესე ყოველი გუამცნო ჩუწნ სულმან წმიდამან, რათა ჩუწნ ვხარგებლობდეთ ერთი ერთისაგან, არა ცუდად ღაღადებს დიაკონი: “მიტუალებულთათჳს ქრისტეს მიერ:,, არა დიაკონი იტუვის ამას, არამედ სული წმიდა მეტეუწლებს ჳიწითა მისითა.

და ესრეთ, ვიცით რა ესე, ვეცადნეთ, რაოდენიცა შეგეძლოს,

შეწევნასა მიცნალებულთასა, და ნაცნადად სათელავთა და დიდის ფასისა სათელავის ქუათა, ვილოცვიდეთ მიცნალებულთათჳს, გაუცემდეთ მოწყალებასა და ვაწირობინებდეთ, რათამცა ესრეთითა სახითა მიცნალებულთაცა და ჩუქნცა მივიღოთ აღთქმულნი კეთილნი,, (ა).

წმიდა იოანე რქოვნიჩი სხუათაცა შინა საუბარითა თჳსთა იტყვის მოხსენებისათჳს მიცნალებულთასა.

ვედრებითა განთავისუფლებიან სულნი სატანჯუღლთაგან.

ჭეშმარიტებასა ამის ვხაზვინასა განმარტებს და დაამტკიცებს საქმეებითა წმიდა იოანე დამასკელი, მოგვითხრობს რა ესრეთ: „ერთსა წმიდათა მამათაგანსა ჰყვანდა მოწყალება, რომელიცა ჰსცხორებდა უზრუნველად. ესეკითარსა უზრუნველობასა შინა შეემთხვია მას სიკუდილი. ყოვლადმოწყალებიან მამამან ზეცათამან, აღძრულმან ცრემლთა მიერ და გოდებათა ბერისათა, უჩუქნა მას მოხუცებულსა ჭახუკი იგი, რომელი იყო ცეცხლსა შინა, ვიდრე თხემადდე, მსგავსად უწყალომსა მის მდიდრისა, კხენებულისა იგავსა შინა ლაზარესთჳს. ოდესცა წმიდამან მოხუცმან მარხვითა მოაკვ-

(ა) საქმე მოციქულთა თავი თ, მუხლი კა.

დინა ხორცი თხსნი და ძლიერითა ტირილითა ეკედრა ღმერთსა; მამინ იხილა ჭაბუკი იგი, გარემოცული ცეცხლისა ალითა ხარტ-ულადმდე. ხოლო ოდესცა წმიდამან ბერმან შეჭხძინა შრომათა ახალნი შრომანი, მამინ ღმერთმან სილუასა შინა მოხუცსა მას აჩუჭნა ჭაბუკი, გამოუვანელი ცეცხლისაგან და სრულიად განთავისუფლებული (ა).

ესრეთვე იხილვების საუბარისაგან წმიდისა გრიგორი დიოლოგოსისა პეტრეს-თანა დიაკონისა. ჭკითსა დიაკონმან პეტრე წმიდასა გრიგორის: რა არგებს მიცუალებულთა? მიუგო მან შემდგომი: თუ სადამე აჭუნდეს ცოდუანი, ღირსნი მიტეკვებისანი შემდგომად სიკუდილისა, მამინ საღმრთონი შეწირუანი მაცხოვარებითისა მსხუჭრზლისა ძრავასა შეეწევიან მკუდართა; რომლისათვისცა სულნი მიცუალებულთანი სძირად მასვე მსხუჭრზლსა ეძიებენ. ეპისკოპოსმან ძელიქსე მოისძინა რომლისამე კეთილმსახურისა მღუდლისაგან, ვითარმედ მღუდელი იგი ვიდოდა ახანოსა შინა ბანუად; ახანოსა შინა მსახურებდა მას ერდგულებითა კაცთა, ვითარცა თუალითა ჭხინდა, გარნა ნამდვილად იყო იგი სული კაცისა; ესრეთ, ერთსა დროსა მღუდელმან, მსახურებისათვის მისისა, მიაწოტა კაცსა მას ორი სებისკვერი, და სთხოვა მას მიღებად; გარნა კაცმან მან ტირილით უთხრა მღუდელსა: მამაო! რადსათვის მამლევ მაგას? არა მალამიძს შეჭმაოდ მაგათი; მე ვითხრა ვინაობა ჩემი: — მე ვიყავ ოდესმე პატრონი ადგილისა ამის; გარნა ცოდუათა ჩემთათვის დავისაჯე აქა. ამისთვის გთხოვ მამაო, უკეთუ გწადოდეს შეწევიანა ჩემი, შეჭსწირე ჩემთვის სებისკვენი ებე უოვლისა შემძლებელსა ღმერთსა, და ილოცე ცოდუათა ჩემთათვის, და კუალად მოხვიდე აქა საბანებელად და მე კვრლარა მისილო აქა, მამინ იცოდე, ვითარმედ კვდრებს

(ა). ტომ. ტომი ა, გუჭრდი ფუე.

შენი შეიხმინა ღმერთმან. ესე რა სთქუა უჩინოაქმნა. ძღუდელი ეკედრებოდა მისთვის ძრთელსა კვირესა ცრემლითა და შემუსრვილითა გულითა, ყოველსა დღესა შეჭსწირვიდა ღმერთსა საცხოვნებელსა მსხუჭრზლსა, ხოლო შემდგომად ამისა მივიდა რა ძღუდელი ახანოხსა, ვერლარა ჭზოვა უცნობი კაცო იგი. აქედამ ჭხჩანს, თუ რაოდენ სასარგებლოა მისთვის მიცუალებულთათვის წირუაჲ, მაშინ ოდესცა თუთ სულნიცა კაცთანი ითხოვენ მსხუჭრზლისა შეწირუასა ცოცხალთაგან, და აჩუჭნებენ ნიშანთადა, რომელთა მიერ შესაძლებელარს ცნობაჲ მიტეკებისათვის მათდა ცოდუათა.

— მონასტერსა შინა წმიდისა გრიგორი დიოლოგოსისა მიიცუაჲ დამა (ბერი) იუსტოს, რომელი იგი გარდახდომილად იყო მცნებასა მაშისასა, და ამისთვის მოკლებულად იყო ეკლესიურთა ღირსებათა რც-და ათსა დღესა. შემდგომად ამისა წმიდამან გრიგორი მწუხარითა გულითა უთხრა იკონომოსსა: გარდაცუალებული დამა ჩუჭნი დიდი ხანი არს იტანჯების ცეცხლსა შინა. შემდგომთა რც და ათთა დღეთა შინა ილოცეთ და შეჭსწირეთ უხისხლო მსხუჭრზლი მიტეკებისათვის მისთა ცოდუათა. იკონომოსმან აღსრულა ბრძანებაჲ, და ოდესცა განკლო რცდა ათმა დღემან, მიცუალებული ღამე ეჩვენა დამას თვისსა ცხადად; დამან ჭკითხა ბერსა: დამა, ვითარ ხარ შენ? ბერმან უპასუხა: აქამოდე ცუდად ვიყავ, გარნა აწ კეთილსა შინა ვარ, ვინაოდგან აწ ღირს-ვიქმენ მე წმიდათა თანა შეერთებასა. ამის მიერ ნათლად ჭხჩანს, რამეთუ მიცუალებული დამა მაცხოვრებელისა მსხუჭრზლითა გამოსხნილარს სატანჯუჭლთაგან.

სუღთათჳს მართალთასსა.

იესო ქრისტე, იყო რა ქუჭყანასა ზედა, იტყოდა მკუდართა
თჳს აბრამ, ისაკ და იაკობისსა, ვითარჲედ იგინი სასუფეკელსა
ცათასა, და არა ხხუასა ვითარსამე ადგილსა, განსუჭუნებულ-
იქმნე-
ბიან, და რამეთუ მათ თანა ინახიდგმიდენ (ახლად იქმნებიან) მრ-
ავალნიცა, აღმოხაკალით და დასაკალით მოხრულნი (ა).

წმიდა გრიგორი ნოსელი სიტყუასა შინა მოხსენებასა ზედა წმი-
დისა ეფრემისასა იტყვის: სადა იქმნების დამკვიდრებული სული
წმიდისა ეფრემისა, ვითარ არა საყოფელთა შინა ზეცათასა?

წმიდამან და სანატრელმან ჭილარეტი მოწყალემან, მსწრაფლიად
შემდგომად სიკუდილისა თჳხისა, გამოუცხადა თავი თჳხი ერთსა
რომელსამე ნათესავსა თჳხსა, შემდგომითა სახითა: ნათესავმან ნასა
ჭილარეტი სამოთხესა შინა, რომელიცა იჳდა ოქროდსა ტახტსა
ზედა და გარს ადგენ მრავალნი კაცნი, ერთსა მხარესა იდგნენ
გლახანი, ხოლო მეორესა მხარესა ყრმანი და ეჭირათ მოეხარენი
სანთელნი (ბ).

საღმრთო გამოცხადება გვასწავებს ჩუჭუნ, რამეთუ სულნი მარ-
თალთანი იმყოფებიან სასუფეკელსა შინა ცათასა. მართალთა სულნი

(ა). მათე თავი 6, მუს. 15.

(ბ). სვინაქსარი დეკემბრის ჰირუჭლისა.

სულთა შინა ღმერთისათა, და არა შეეხოს მათ ტანჯუა (ა). იესო ქრისტემან უთხრა ჯუარსა ზედა ავაწაკსა: ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა შინა (ბ).

სულნი შემდგომად გამოსვლისა თჳხის სხუელთაგან, განვლიან განსაკითხავთა ადგილთა, ვითარცა ჭხანს ესე მიხვან, რამეთუ წმინდამან თეოდორამ განვლო ოცი საზვერე, (განსაკითხავი) (გ).

სულნი მართალთანი განთავისუფლებიან ცილისწამებათაგან ბოროტთა სულთასა ძალითა ძაღლისათა, და განვლიან განსაკითხავებსა, უჭირველად, ანგელსებთათანა, ამას ვხედავთ ჩუენ ცხოვრებისაგან წმიდისა დიდისა მკაცრისა. სინარულსა და ნეტარებათა მართალთა სულთასა სხუა და სხუანი ჭქონან ხარისხნი; ვინაჲდგან შეუძლებელარს, რათამცა ყოველთათჳს იყოს თანასწორი ჯილდოჲ; არამედ ყოველსა კაცსა უფალმან მიაგოს საქმეთაებრ. ძოციქული იტყვის: “სხუა დიდება არს მზისა, და სხუა დიდება არს მთოვარისა, და სხუა დიდება არს ვარსკვლავთა, და ვითარცა ვარსკვლავი ვარსკვლავთა ჭმატს დიდებითა. (დ). “სულნი მიიღებენ ჯილდოსა საზომისაებრ გულის სიწმიდისა და სრულებისა სათნოებათასა. რომელსაცა უძეტესად განუწმდიეს გული თჳხი და ადუმიდლებიეს სული თჳხი ცხოვრებასა ამას შინა, იგი მით უმას-

(ა). სიბრძნე სოლომონისი თავი გ, მუხლი ა.

(ბ). ლუკა თავი კთ, სტინი მგ.

(გ). საზვერე არის (мытарство) საბაყო, საყარაულო, ანუ მდაბიურად ვჭსთქუათ განსაკითხავი ადგილი, სადაცა მიძავალსა კაცის სულსა, გზავედ ოცგან ეშმაკნი დახვდებიან და სხუა და სხუა ცოდვის ანგარიშს მოხთხოვენ. ეს მოთხრობაცა მაქუხს რუსულიდამ ნათარგმნი, მაგრამ აქ არ დამიმეტებია. ა. გ.

(დ). ა კორინთელთა თავი იე, მუხლი ძა.

ლობელესად და უცხადესად დასტკებების ღუთისა სედკითა ჰიჩის-
ჰირ; მაშასადამე მით უდიდესსა იგემებს ნეტარებასა, მუნით წარ-
მონაკადებულსა. წმიდა იოანე ოქროპირი დადგინებულას უძალ-
დესთა მსახურთა შორის წინაშე საყდრისა ღუთისა. თვთ იესო
ქრისტე იტყვის: “სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალაჲნი.
(ა). “ვიდრე მოიწოდეს უკანასკნელი დღე სოფლისა, სულნი მარ-
თალთანნი, თუმიცა იმყოფებიან ცათა შინა და დაჭსტებებიან ნეტარ-
ებითა, გარნა არა მიუღიეს ჟერეთ სრული გვირგვინა; ოდესცა
დაასრულებს უფალი სამინელსა სამსჯავროსა, მაშინ სულნი ერთბა-
მად სორცთა თანა მიიღებენ სრულიად გვირგვინსა დიდებისასა.
რამეთუ ჩუწნ უოკელნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრის-
ტესთა, რათა მოიღოს კაცად-კაცადმან სორცთა ამათგან, რაჲცა იგი
ჭქმნა, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი. (ბ). მაშინ აღსრულდების
სიტყუა მოციქულისა: რამეთუ მე ესრე მგონიეს, ვითარმედ კერ-
ღირსაჲნი ვნებანი იგი ამის ყმისანი, მერმისა მისთანა დიდებისა
რომელი გამოხინებად არს ჩუწნდა მომართ (გ). მაშინ სულნი
მართალთანი გამობრწყინდებიან, ვითარცა მზე, სულთა სორცი განა-
სლდების; და იგინი იხილვენ, რომელი თუაჲმან არა იხილს, და
ეურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა ცნობად, რომე-
ლი განუძნადა ღმერთმან მოუწარეთა თვხთა (დ).

(ა). იოანე თავი იდ, მუხლი ბ.

(ბ). ბ კორინთელთა თავი ე, მუხლი ი.

(გ). რომელთა თავი წ, მუხლი ით.

(დ). ა კორინთელთა თავი ბ, მუხლი თ.

ცოდვილთა სულთათვის.

სულნი ცოდვილთანი, შემდგომად განსკლისა თვისა ხორცთაგან, წარსდგებიან სამსჯავროსა შინა საშინელისა მსაჯულისა-ღუთისა, ვითარცა იტყვის მოციქული ჰავლე: “კაცთა თანააძმთ ერთგვის სიკუდილი, და მისსა შემდგომად სასჯელი. (ა). “ჭყერის-მცრულნი, ბორცონი სულნი, ცილის-მწამებელნი, რომელნი შესმენენ კაცთა წინაშე ღუთისა ჩუქნისა დღე და ღამე (ბ), წინა-დაუდგებიან სულთა, ვითარცა შემსმენელნი, და მოხუცნი-იქმნებიან, რათა შეუგრან მათ ცადადმევანი გზად და შეიპურან იგინი თვითა ხელთა-შინა. სულნი, რომელნი ვერა განიმართლებენ თავთა თვითა სამსჯავროსა აძახ შინა, ჭშთაიუვანებიან ჯოჯოხეთად, რომელას ბნელი ადგილი, განშორებული ღუთისა ნათლისაგან, სადაცა დაითმენენ ტანჯუათა, ვითარცა თქმულას უწყალად მდიდრისათვის: “ხორც შენ იტანჯები (ბ). ხორც ცოდვილნი სულნი, რომელთა უქმნიეს სასიკუდილნი ცოდუნი, და არა შეუნანებიათ, ჭშთაიუვანებიან სატანჯულად ტარტაროსსა შინა (ანუ ქუჩსკნელსა), ვითა-

(ა). ებრაელთა თავი თ, მუხლი კზ.

(ბ). გამოცხადება იოანესი თავი იბ, მუხლი ი.

(გ). ლუკა თავი ივ, მუხლი კე.

რცა ჭხანს წმიდისა თეოდორის სიტყუათაგან მეთხამეტესა შინა განსაკითხავს: “რომელნი მოხსენებენ გულთა შინა თვითა ძიროთა მოუჭასთა ზედა, და რომელნი მიაგებენ ბოროტსა ბოროტისა წილ, ეშმაკთა მიერ ჭშთაიუჭანებიან ქუჩსკნელსა შინა... ამისგამო სხუა და სხუა არს ტანჯუა ცოდვილთა, მისედვითა ცოდუთათა. გარნა ყოველნი ცოდვილნი სულნი შეპყრობილარნიან ანუ ჯოჯოხეთსა შინა ანუ ქუჩსკნელსა (ტარტაროსსა). (ა).

მოხსენებისათჳს მიცუალეულობასა დღეთა შინა,
დანიშნულთა ეკკლესიისა მიერ.

ქრისტიანეთა ეკკლესიასა ძუჭლადგანვე აქუხ ჩვეულებაჲ შეწირუად ვედრებათა ღუთისა მიმართ მიცუალეულობათჳს მესამესა, მეცხრესა და მეორმოცესა დღესა შემდგომად მათისა სიკუდილისა. წმიდა მკარა ალექსანდრიელი ჭკითხვიდა ანგელოზთა, რომელთა მიჯუჭანდათ იგი უდაზნოდ: გვედრები თქუჩნ განმიმარტეთ ესე: მამათა მოუციეს წესი, რათა მსხუჭრზლსა შეკჭსწირვიდეთ ეკკლესიასა შინა მიცუალეულისათჳს მესამესა, მეცხრესა და მეორმოცესა დღესა, გარნა რაჲ სარგებლობა შეეცემისთ ამითი მიცუალეულობათა

(ა), ლუკა თავი ივ, მუხლი კვ.

სულთა? ანგელოზმან მიუგო: ღმერთმან არა მიუშვა ეკკლესიასა შინა თვსსა არა რადმე უხმარო და უხარგებლო; არამედ დააწესა თვსსა ეკკლესიასა შინა ზეციერი და ქმსწყნიერი საიდუმლონი და ბრძანა სრულყოფა მათი. ვინაოდეს ოდესცა მესამესა დღესა წირუა იქმნების ეკკლესიასა შინა, მაშინ სული მიცულებულისა მიიღებს თვისსა მცუწლისა ანგელოზისაგან შუბასა მწუხარებასა შინა, რომელიცა აქუს სულსა განშორებისათვს სორცთაგან; მიიღებს ლხენასა ამისთვს, რამეთუ დიდებისმეტყულებს და წირვას სულისათვს შესრულებულარს ეკკლესიასა შინა ღუთისასა; ამისგან სულსა მიეცემის კეთილი სახლება. ვინაოდეს ორსა დღესა ნება მიეცემის სულსა ანგელოზთათანა, რომელნი იყოფებიან მისათანა, სულად ქმსყანასა ზედა, სადაცა ინებებს. რომლისათვსცა სული, მოყუარული თვისსა სხეულისა, დადის აქა და იქი ოდესმე გარემო სახლისა, სადაცა განემორა სორცსა, ოდესმე გარემო საფლავისა, სადაცა დაფლულარს სხეული; ესრეთ განატარებს სული ორსა დღესა, და ვითარცა ფრინულელი ეძიებს თვისსა ბუდესა. სოლო კეთილისმოქმედი სული ვალს ადგილთა მათ ზედა, რომელთა ზედა აქუნდა ჩვეულება ყოფად სიმართლისა. მესამესა დღესა იგი, რომელიცა აღდგა მესამესა დღესა მკუდრეთით, ბრძანებს, მისაბამკვლად მისისა აღდგომისა, აღყუანასა ყოვლისა სულისა ქრისტიანეთასა ზეცად, თაყუანისსაცემელად ღუთისა ყოველთასა. და ესრეთ ეკკლესიასა აქუს კეთილი ჩვეულება მესამესა დღესა სრულყოფად წირუისა და ღოცვისა სულისათვს.

შემდგომად თაყუანისცემისა ღუთისა, ღმერთი უბძანებს ანგელოზთა აჩუწნონ სულსა სხუა და სხუანი და საამურნი საკანენი წმიდათანი და შუწნიერება სამოთხისა. ამას ყოველსა განიხილავს სული ექუსსა დღესა, განუკვირდების და ადიდებს შემოქმედსა ყოვლისასა, ღმერთსა. სოლო ოდესცა განიხილავს ამას ყოველსა, სუ-

ლი გამოიტყულებინ და დაავიწოდების მწუსარებად, რომელიცა ქრო-
ნდა, იყოჩა სხეულსა შინა. გარნა უკეთუ სული ბრალეულობას
ცოდუათა შინა, მაშინ ისილავს რა შუჭბასა წმიდათასა, იწყებს მწუ-
სარებასა და ყვედრებასა თავისა თუხისასა, მეტყველი: ვაჲ მე!
რადენსა განუსვენებელად ვიქცეოდი სოფელსა შინა! და მივჭსდე-
ვდი გულისხნებასა, მე განვატარე ცხოვრებაჲ უზრუნველობასა შინა,
და არა ვჭმსასურე ღმერთსა, ვითარცა ჯერ-იყო, რათა მეცა ღირს
ქმნილ-ვიყავ მადლსა ამას და დიდებასა. ვაჲმე უბადრუკსა! . . განი-
ხილავს რა სული ყოყელსა სინარულსა ცხოვნბულთასა ექნათა დღე-
თა შინა, იგი გუჲლადვე აღიუწანების ანგელოხთაგან თაყვანისსა-
ცემელად ღმერთისა. ამისთვის ეკკლესია კეთილად იქმს, რომელ შეა-
სრულებს მეცხრესა დღესა წირუასა და მხასურებასა მიტუალბულ-
თათვის.

თაყუანისსა-ჭსტემს რა მეორედ სული ღმერთსა ყოყელთასა,
მეუფე უბრძანებს ანგელოხთა რათა წარიუწანონ სული ჯოჯობსეთ-
სა შინა და უჩუწნონ მას ადგილნი სატანჯუწლთანი, თერად-თერად-
დნი სავანენი ჯოჯობსეთისანი და სხუა და სხუანი ტანჯუწანი უსჯუ-
ლოთანი და ცოდვილთა სულთანი, რომელნიცა დაუცხრომელად
ჭსტირიან და იღრჭენენ კბილთა. ამათ სხუა და სხუათა სატანჯუ-
წლთა ადგილებთა შინა სული ვალს რც და ათსა დღესა, და მწუ-
სარებს, რათა თუთცა სული იგი არა შემწევდუელ-ქმნეს სატანჯუ-
წლთა მათ შინა, მეორმოცესა დღესა სული გუჲლადვე აღიუწანე-
ბის თაყვანისსა-ცემელად ღმერთისა; და მაშინ მისცეს მსაჯული სუ-
ლსა შესაფერსა ადგილსა საქმეთაებრ მისთა. და ესრეთ კეთილად
იქცევის ეკკლესია, რომელ ჭყოფს წირუასა მეორმოცესა დღესა
მიტუალბულთა თვის და რომელთა მიუდიეს ნათლისღებაჲ.-წარი-
კითხე სიტყუა წმიდისა მაკარი ალექსანდრიელისა (ა).

(ბ). ქრისტისან. საკითხავი ხელსა წლისა აგვისტოს თთვისა ნაწი-
ლი იგ. 3

ჟ უოკელგანარსო ღმერთო! შენ ჰხედავ ჩუწნსა უზრუნველობასა. განაღვიძე ცოდუათა შინა მძინარენი, და რომელი არა ჰზრუნვენ სასუფეველისათჳს ცათასა; განჰხდევნე მცონარებაჲ, განამტკიცე უძლეურობაჲ და დაამშვიდე გულ-ფიცხელობაჲ; რამეთუ კუალად მსქებს მე, უფალო, მოწყალებითა შენითა, ყაძი სინანულისა, მოვიხსნებ რა ცოდვათა, გვედრები შენ, ცოდუათა სიჭაბუკისა და უძეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ, ხოლო ოდეს მივემთხვიო მოხუცებასა, ნუ მომწყლავ გულ-ფიცხელობითა, არამედ აღსახუბუქე სიუწარუფითა, რათა შეგიუწარო შენ უოკლითა გულთა ჩემითა, ხოლო დამუწლებულნი ცოდუანი განჰხდევნე, ვითარცა აღი ხელისაგან ჩემისა, და მექმენ მე, უფალო, წინამძღუარ გზასა ზედა სათნოებისასა. მე ვიქმენ სარგებელად არა ხოლო თუ თავისა ჩემისა, არამედ მოუწასთაცა, ოდესცა ვიხურვებ მათ თჳს მასვე, რაჲცა მინდა თავისა ჩემისათჳს; ამისთჳს ვიკადრებ შენსა ვედრობასა: პირველად ნუ დააკლებ შენსა ზეცათა სასუფეველსა უოკელთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, და მიეც მათ, უფალო, აღსასრული მშვიდობისა და ანგელოზი მცუწლი, სულისა თანამოგზაური შენისა ზეცისა საყოფელადმდე, რათა შეიუწანოს აღსრულებულნი სარწმუნოებასა შინა და სასოებასა, განმზადებულსა საკანესა საუკუნოებასა სამკვიდრებელისასა; ხოლო მყოფნი სატანჳწუწლსა შინა გამოიხსენ მისგან, უფალო, გამოუთქმელითა სახიერებითა შენითა და მოწყალებითა.

უოკლად-მოწყალეო ღმერთო, კუალადცა ჰტიეს სახიერება შენი ცოდვილთა ზედა, და მზე შენი ჰბრწყინავს ბოროტთა ზედა და კეოილთა; კვალადცა ვხედავთ საუწარკელსა მესა შენსა, მაცხოვარსა ჩუწნსა იესო ქრისტესა, დამოკიდებულსა ჳწარსა ზედა და ხელგაზურობილსა, რომელი მიგვიწოდს ჩუწნ: „მოვედით ჩემდა უოკელი მამუწარლნი და მძიმენი ცოდვიითა;“ შემსჭკალენ ხორცინი

ჩუქნი ჯუჯასა შესა შიშითა შენითა; შემუსრე გული ჩუქნი, და
შეზღუდე გულის-სიტუჲანი სუქნი ივართა სარწმუნოებისათა,
რათა არა დაჴშთეს ცოდუა და სეტანა მსახურთა თანა თვითა, არა-
მედ რათა ივლტოდეს და განქარდეს, ვითარცა მტუქრი წინაშე
ქარისა, და დახდეს ძალი მისი, ვითარცა სანთელი ცეცხლისაგან.
ჯუჯართა შენითა შემოვიზღუდავ თავსა ჩემსა, რათა შეძრწუნდნენ
ემპაქნი და ვერა მომეახლნენ მე უღონოსა, არა მქონებელსა არა
ვითარისა ძალისა, თუნაკ შენისა სეტურკელისა და აზნიერ შეწე-
ვნისა შენისა, შენი დაბადებული ვარ, ნუ წარმწყედ მე უხჯულო-
ებათა თანა ჩემთა. ვიცი ცოდუა ჩემი და ვინანი წინაშე შესა;
შემუსრე გული ჩემი, რათა თვალთაგან ჩემთა დაკვსთხილ წყარონი
ცრემლთანი და განვიბანნე უხჯულოებისა ჩემნი, და მამინ დაკრწმუ-
ნდე, ვითარმედ მე განბანილ-ვარ შენ მიერ და განვსეტაკნე უმე-
ტეს თოვლისა; გული წმიდა დაბადა ჩემთანა, დემართ, და სული
წრთული განმიახლე გუჲმსა ჩემსა, მამინ მე ვიგოდნობ აქასა შინა
ცხოვრებასა სისარულსა მას, რომელსა ვერა მომცეს სოფელი; ინ-
რებდეს გული ჩემი ღუთისა მაცხოვარისა ჩემისა მიმართ, და ვი-
ტოდე მოციქულთა თანა სიტუჲათა ამით სადმართათ: ვერა ვითა-
რმე დაბადებულმან შეიძლოს განყენება ჩემი სიუჲარულისაგან შენი-
სა, რომელ-არს ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუქნისა, შეესტდი
მე ვითარცა ცხოვარი წყედული: მომიძიე მონაჲ შენი, რამეთუ
მცნებისა შენი მე არა დავივიწყენ. გარსა ვიკადრებ და გეკადრები
შენ მიცუალებულთა ძმათა ჩუქნითა: შეისმინე ჩუქნი უღიწითა
მონათა შენთა, რომელნი გეკადრებით შენ, და განუსკვე სულთა
მონათა შენთასა, გარდაცუალებულთა უწინარეს, ადგილსა მწკანი-
ლოვანსა, ადგილსა განსკენებისა, სადა იგი არა არს ყოველივე
ჭირი, მწუხარება და სულთქმა, და დააწესენ სულნი მათნი საყო-
ფელსა მართალთასა, და მშვიდობასა და მიტეკებასა ღირს-ტუქნი

იგინი, რამეთუ არა თუ მკუდარნი გაქებდენ შენ, უფალო, არცა
ყოველნი შთამავალნი ჟოჯოხეთისანი აღვიარებდენ შენ, არამედ
ჩუქს ყოველნი ცხოველნი გაკურთხევთ შენ და გვეკუდრებით და
სალხინებელთა ამათ ღოცუათა და მსხუჭრზლთა შეკსწირავთ შენდა
ხუფთა მათათაჲს.

აწნ. აღექსანდრე გ ა რ ს ე კ ა ნ რ ვ ი .

სიტყუა

წინააღმდეგ თუშეთის დეკანოზთა (*).

საყვარელნო მრევლნო! დღეს უქმობთ თქუქს სხენებასა წმიდი-
სა დიდისა და ღუაწლითაშემოსილისა მოწამისა გიორგისასა, რომ-
ლისა თაყუანისცემად შეიკრიბენით აქა. გარნა განმაკვირვებ მე დღეს
ქცევა თქუქსნი; რასათჲს უკუქს შეიკრიბენით ამა ალაგსა და არა ეკ-
კლესიასა შინა? ანუ არა მის წმიდისაჲს არსა იგი? იგი სახელსა
ზედა მისსა აღშენებულარს და ალაგსაჲს თქუქსსა სდგას; გარნა
თქუქს ამოდამორწმუნენი ხართ ჳ გარდაქცეულ ჭეშმარიტებისაგან....
თქუქს ჳუარნი მაცხოვრისა მტკიცედ გრწამით და მარადჲს იხსე-

(ა). სამის თემის თუშთა: ჩაღმათ, გომეწართ და პირ-იქითელ-
თა აქუხთ ჩუქსულებად იუქმონ სხენება წმიდისა გიორგისა სხუა და
სხუათა დღეთა შინა, ხოლო ფარსმანელნი უქმობენ ხუთშაბათსა....

ნებთ (ა), გარნა ფრიად სტოებით მას შინა, რომელ მიხვეულ ხართ მისულად განწესებულთა აღატათ და არა ეკლესიასა შინა, სადაცა სხენება პატროსანისა ჟჷარისა და სხჷათაცა წმიდათა მარადელუ აღესრულების. ამისთჷს თანამდებობა ჩემი კალდებულ-მყოფს მე მხილებად უწესობათა თქჷწნთა, ჳ არა ვიძიშვი თუძცაღა აწვე შუუ რაცხ-მყოთ მე.

ძმანო! ისტორიულად კერა ვასხენებ თუ რდეს მიიღეთ თქჷწნ ქრისტიანობა და ვითარ დაიტყუით იგი; მხოლოდ ვიცო მე ესე, რომელ თქჷწნ მტკიცედ იუვენით ვიდრე დაღისტნის აღძვრადმდე, რდეს იწუეს უსჯულოთა ბარბაროზთა მოხვრა ქრისტიანეთა, ესე იგი—მათ დროთა შინა, რდეს ქართველთა მეფეთა კერ ეძლოთ გარდაქცევად მათდა და დასჯად შეურაცხ-ყოფისათჷს წმიდისა ხარ-წმუნობისა. მათ განაწესეს ადგილითი ადგილად თქჷწნებრ წოდებულნი დეკანოზნი, და უბრძანეს დაკრძალჷა წმიდათა ხატთა და საეკლესიო ნიკოთა (ბ), რათა ურწმუნონი არა განკიცხვიდენ მათ. ამისგამო დაშთა ესე ჩჷწულება აქამომდე, და არა გსურსთ არათუ აღმოკჷწთოთ იგი, არამედ თქჷწნნი დეკანოზნი, რომელნიც შეყოფილან ეძმაგისადმი, უძეტეს ავრცელებენ და მოგითხრობენ თქჷწნ საჭირობისათჷს ეგრეთთა საგანთა. ესე ფრიად საკდემელ და საგომბელ არს. . . მაგ. თქჷწნ იტყუით ვითომც ფარსმის ჟჷარი (გ) ჳელოს ჟჷარის ცოლი იყოს (დ). რჳ, ღმერთო ჩემო! ვითა-

(ა). სხენებულნი თუშნი ყოველთა ბომონებთა უწოდენ ჟჷრებად.

(ბ). ესე ჩჷწულება ესრეთ მტკიცედ უზურიათ, რომელ სადაცა იზოვნისან ძველი დროებითგან დანაშთენთა კერებთა, მათცა კრძალვენ.

(გ). ფ ა რ ს მ ა სოფელაია, და ფარსმის ჟჷარს—წმიდა გიორგს ეტყუიან.

(დ). ჳ ე ღ ო სოფელაია, და ჳელოს ჟჷარს ნათლის-მცემელს ეტ-

რე გმობაა ესე! . . ვითარე შეუწახსუოფა წმიდათა! . . ვითარე
ჰატივი და თაყუანისცემა ჰატიონისა ჯუწარისა და წმიდათა! . . ვინ
წმიდათაგანი ყოფილა ესრეთ? ანუ რომელი სოდომური ცოდვის
მოქმედი შეჩაცხილა წმიდად? არა ღმერთმან დასწუა სოდომ-გო-
მორი ესე-ვითართა ცოდვათათჳს, ანუ ვითარ წარმოხთქუამთ ეკკლე-
სიასა ზედა ესრეთსა სიტყუასა? მე არცა გიწოდებდი თქუწნ ქრის-
ტიანედ, მაგრამ ნიშანნი, რომელნიცა მიგილებიესთ თქუწნ წმი-
დასა ნათლისღებასა შინა, ცხად გუოფენ ქრისტიანედ; ამის-აგამო-
მუშინის მე ღუთისა არ წოდებად თქუწნდა ქრისტიანედ. გარნა სა-
ხელი ქრისტესი გუაქუნდეს და სადგურ ეშმაკისა ვიყვნეთ — ფრად
შესადრწუნებელ არს! . . ჩუწნ ყოველთა გვეკითხვის აღსრუ-

ვიან. ამ გუწარნი ჩუწნულებანი მრავალნი აქუნთ, რომელთაგანაც
უზირველესნი არიან ესენი: რწმუნება დეკანოზთა, განდეკნა სოფე-
ლს გარეთ მშობიარეთა, და არა მიკარება მათი ახლან ვიდრე ექუს
გვირადმდე, არ მიკარება მიცუწალებულთა, რომელიცა არა იშვიათათ
მოძკუდარს, წაღება სამარედმდე მღუდლისა მიერ; სულეთს ყოფნა
დეკანოზთა, ესე იგი — საიქილს ყოფნა, რომელნიცა მრავალთა
ფერად ფერადთა ეტყვიან და აჯერებენ უბრალოთა კაცთა; წმიდა-
ობა, ესე იგი წმიდად დაცუა — ვითომც ეკკლესიაში შესულით განი-
რუნებოდენ, და უმთავრესი არს სმინაობა; ესე ჩუწნულება იცინ
უძლების გვირიაკეს, სუთმბათს და ჰარასკეკს მარხვას ინახვენ და
შაბათს სოფელს გარეთ გაკლენ და დასხდებიან, არა შეირჩენენ რა
თჳს ზედა მახვილსა ვიდრელა ნემსსა, და წარმოხთქმენ შემდგომთა
სიტყუათა: “ანგელოზო ამაჟე, ეშმაკო დამაჟექ, ეშმაკო ჩემს სულს
გამდეკო. — და სხუანი; დაჯზვერენ ყოველთა სახლთა და შეიტყო-
ბენ, რადცა ამათ ევნება გინა ესინარულება განმავლობასა
იმა წლიხასა.

ლეს ადამის მის, რომელი მივეცით ღმერთსა წმიდასა ნათლის-
ღებასა შინა; ამისათვის თანამდებლართ ცდილობდეთ სწავლასა ყო-
ვლისა კეთილისასა არა მათამიერ, რომელნი თქუენ შორის და
თქუენებრ უბრალონი არიან, არამედ მათამიერ, რომელნიცა ღმთი-
საგან ეკვლებიასა შინა დადგენილარნიან მოძღუერად და მასწავლე-
ლად თქუენდა და მარადის იღვწიან სულთა თქუენთათვის. რასა-
თვის არა განხიზჯავთ და ისე არა იწმუნებთ? ღმერთმან ყოვლად-
ბრძენმან შეგებნა რა ჩუენ, მოგუცა ხილულნი თვალი, რომლი-
თა უნდა განხიზჯოთ კეთილი გზა, რათა არა წარვსცეთ ქუასა
ფერხნი ჩუენნი, და თვალი სულეერი, ესე იგი გონება, რათა განხი-
ჯავდეთ ყოველთა და აღვირჩევდეთ კეთილსა და არა ბოროტსა,
სულის მარგებელსა და არა მავნებელსა. მაგ. დეკანოზები გეტყვიან
თქუენ: “ამა და ამ ჯუარმა ესრეთ შეგამთხვია და ესე ვითართა
ითხრეს თქუენ მიერა, (ა). ანუ ვერ ძალ-გიძხთა თქუენ ესე ვითარ-
თა უწესობათა შენიშვნად? ანუ როდის და ვითარ აქუნდა მათ
ესე-ვითარი შეგონება ღმთისაგან? უკეთუ ხათხა არიან იგინი ღმ-
თისა, რასათვის არა იქცევიან ესრეთ, ვითარცა მონანი ღმთისანი? ესე
იგი: მსუნაგობენ, ვეცხლის-მოყვარეობენ, თავის-მოყვარეობენ.
ჭეშმარიტად არიან იგინი ბრძანი და ბრძმთაცა წინაუძღვიან. ამი-
სთვის გეტყვიან ჩუენ მოციქული: აღსდგენ კაცნი, რომელნი იტყო-
დენ გულარძნილსა რათა განადგინენ მოწასუენი შემდგომად მათდა.
კვლად არიან ჭურნი გველისა მის ბოროტისა, რომლითა სურს
გარდაქცევა ჩუენნი; არიან მგელნი, რომელნი მოკლენ სამოსლითა
ცხოვართათა და გეტყვიან მშვიდობასა, არამედ გესლი ახშიტთა ბა-

(ა). ყოველი დეკანოზნი მიხვეულისა ლაუბობასა და უბრალოთა
კაცთა ჭგონით ვითომც იგინი ღმთის შეგონებით იტყვიან.

გეთა მათთა არს (*). იგინი გაცთუნებენ თქუწნ ტკბილად მეტყუე-
ლებითა და კურთხევითა, გარნა ნუ ერწმუნებით: იმა სახითა ჭფა-
რვენ თვსსა სიკერაგესა. ესრეთითა სახითა მოვლენ თქუწნთანა ეს-
რეთ წოდებულნი სევის ბერნი (ა), რომელთა არა თუ მიიღებთ,
არამედ სარკსაცა აძლეეთ, და იგინი მოგართმევენ თქუწნ ფერად-
ფერადთა სულისგანმხრწნელთა სწავლათა: ვითარნიცა არიან
თვთ, ესრეთსაცა სწავლასა მიიღებთ მათგან. . . იგინი უგანუნანათ-
ლებულეს და უმეტრეს ყოველთა კაცთა არიან, და თქუწნ საწთ
მათ ზედა განათლებულნი; ჯერარს თქუწნდა მათი სწავლება, და
არა თქუწნი მათმიერ. მე აქა, ვითარცა შემეტყუიეს თქუწნგან,
მეტყუით, ვითომც იგინი სასწაულსა იქმოდენ (ბ); გარნა სრულსა
იჭკნეულობასა შინა ვარ შესახებელად ამისა: იგინი არა სასწაულებსა,

(*) საქ: მოც. გ, ლ; მათ. ზ იე; საქ. მოც. გ, კთ; თხაღ.
რლთ გ; რომ. ივ, ის.

(ა). აღვხებიდგან ყოველსა კვირასა მოვლიან სევსურნი, გინა სე-
ვის ბერნი თუშეთს: სწავლანი მათნი არიან შემდგომნი: განწმენდა
კაცთა, ესე იგი ყრმისა განწმენდა, რომელსა მოჭხარსვენ თავს და
შუასხედ ქოჩორს გაუწეწვენ თათრულად, ვიდრე შეთქმული ჭყავთ
არ მოჭკვეცენ იმ თმასა; მოყვანება დამშთვლის სულისა; წესი ამს
მოყვანებისა ესრეთ არს: წარყვანს ჰატრონი მის დამშთვლისა
მას ალაგს, სადაცა იგი კაცი დამშთვალა ზეკვისა გინა წყლისა მიერ,
უკეთუ შორ არს — ცხენით, და უკეთუ ახლოს არს, — ქუწნითად, და
აღარჩევენ მუხლადსა კაცსა, რათა არა უსწრონ მოხვლად სევის ბე-
რთა მათ, ვინაოდგან ჭგონებენ, უკეთუ სევის ბერი იგი წინ მოვი-
დეს, მაშინ სხვა კვალადცა მოკუდეს მისკე გვარისა. . .

(ბ). არის რომელიმე სევსური, რომელიცა აჩუწნებს უბრალოთა
კაცთა, ვითომც ჯვარი განრისხებული მათ ზედა ჭფრინვიდეს და

არამედ მანქანებსა იქმენ მოძღვრებითა ემპაიხათა. უკეთუ ხას-
წაული მათი ნამდვილია და არა მანქანებაა, რადხათუხ უკუწ ულ-
კელსა კეთილსა შინა წინააღმდეგად იქცევიან? არა იმარსკენ მრუშე-
ბასა და სჯულისგარდამავალობასა, და საკდემელ სიტყუათა გი-
უვიან (ა): და ვითარ უწმუნებით მათ? ანუ არა ძალგიმსთა განსინჯუად
სიკერაგეთა მათთა? ესრეთ ნუ, ნუ უწმუნებით ნურცა მათ
და ნურცა ჩუწნ, თუ არა გუაქუწ ნიშანი, რომლითა იცნობე-
ბიან მწუემსნი კეთილნი. პირველად ჟერარს მიხვლად მწუემსისა
ვითარცა ქრისტემან ჳრქუა, კარით, ხოლო რომელი სხუა მხრით
მოვალს, იგი მჰარავი არს. აქა მკითხავთ მე: რომელია კარი და
სადეთგან მოხრული შევიწინაროთ? კარი არს ქრისტე, ვითარცა
თუთ იტყვის: მე ვარ კარი, რომელი ჩემ მიერ შევიდეს, შევიდეს
და გამოვიდეს და საძოვარი ჳზოვოს. და ამა კარით რომელიც მო-
ვალს, იგი ნამდვილ არს და თუთ ქრისტეს მიერ დადგენილ; ხო-
ლო რომელი არა ნებისთა ქრისტესითა მოვალს, იგი მჰარავი და ავაზაკი
არს, რამეთუ იზარავს სიტყვიერთა ცხოვართა ქრისტესთა, რათა
წარწყმიდოს იგი, და არა თუ მწყის, არამედ რყუნის; მხოლოდ
თავსა თვისსა ზრდის. მეორე ნიშანი კეთილისა მწუემსისა არს სულა
წინაშე ცხოვართა; და ვითარ ვლიდეს წინაშე ცხოვართა? განა ეგრეთ,
ვითარცა ხეკსურნი მოვლენ და გიძრახებენ თქუწნ ჳრუბთა თანა?

არა ეკარებოდეს კაცთა; და ხეკსური იგი კანკალით, ქუდ-მოხდით
და მუხლ-მოძრეკით დაშოშმინებდეს; და ეტყვის უბრალოთა კაც-
თა, ვითომც მათ მიერ უდიდესსა მსხუწრჳლსა ითხოვდეს რომელ-
საცა აძლევენ ხეკსურსა მას; გარნა ესე არა სხუა რადმე არს, მხო-
ლოდ ჳრუარი, სახელურზე ბურღით გაკეთებული, და ათამაშებს
ხელში.

(ა) შემდეგ მისსა იტყვიან: დიდებაა ღმერთსა, მადლი ღმერ-

აწა! აწა ეგრეთ, აწამედ ვითარცა მოგითხარო წინათ; ესე იგი ჟერარს რათა თუთ ყოველსა ქუჩის საქმესა იქმოდეს, იმარსვიდეს და ღუაწლსა ეკვლისიისათუხ სდებდეს, აწა მრუშობდეს, აწა ანგარებდეს, და რაოდენ ძალუმს, თქუჩნისა სულისათუხ ზრუნვიდეს. ჟერარს მისი წინათ სვლა და აწა უკანით; ჟერარს პირველ მწყემსისა გზისა განხსრეკა და გავლა, და მერეთ ცხოვართა, რათა აწა წარწყმდენ. მესამე და უკანასკნელი ნიშანი მწყემსისა კეთილისა არს, რათა სულსა თუხსა სდებდეს ცხოვართათუხ, ესე იგი აწა იშურებდეს თუხსაცა მონაგებსა და აწა თუ თუთ ანგარებდეს, ვითარცა სკვსურნი (ა), რომელნიცა აწა თუ მხოლოდ ანგარებენ, აწამედ გარისხებენცა.

თხა, დღეს დღესინდელსა მზესა, გზისა მუღლს ანგელაზსა, ზვავის მუღლელსა; შენ გეკვდრებთან გულამდაბლითა ბსმითა მალლითა, შენი საძლითოა, შენი სადიდებელია, მოურთმეკია (აქ სოფელსა, თემსა და კაცის სახელს იტყვიან), ნაქადებს აუხრულიდი, ნათხოვარსა გაუგონიდი; უწუღოს წული მიხციდი, წულიანს გაუზარდიდი; კაცსა მოლაღესა, მოქადესა სწორ დაჯობინიდი, მოლაშქრეს გაუმარჯვიდი; ცხენს გაუმრავლიდი, ცხენს მხედარს ნუ გამოუღიდი; ცხუარსა ცხურის მწყემსსა გაუმრავლიდი; ჯორსა მუჯორესა ნუ მოაკლიდი; მტერს გაუმრავლიდი; მტერს მიხდეკდენ მიხწიდი; მოხდეკდენ გამოახწიდი; ტოლსა ხწორსა ნუ შეარცხვინიდი; შენია, შენ გეხკეწება, ვირო კოპალეო! ფიწალეო! (ესენი მათი ბომონების სახელებია) შენ სადიდებელად ამყოფიდი, ესლა ეს შეუწირიდი, და მერე სსუას მიაღებიდი, შენ სადიდებელად. — ადიდოს-გზის სალსნი მიუგებენ.

(ა) სკვსურთ იცინან, თუ უკეთუ რომელმა სოფელმა ხარკი არ მიხცა, დაიჭერენ დროშებს მის სოფლისაკენ და არისხებენ ესრეთ:

ამიერიდგან კაძლეკ სიხრულესა სწავლასა ჩემსა და გეკედრებით,
ნუ ყოველსა კაცსა ერწმუნებით, რამეთუ არიან კაცნი თავისმოყუა-
რე, კეტხლისმოყუარე, ამჰარტავან, მგომობარ, მამადედისა ურჩ, და
სხუანი (*) ძმანო! გარეშე ეკვლესიისა არა არს ცხოვრება, და
რომელი მოვიდოდეს თქუწნდა და ზემოაღნიშნულნი ნიშანნი არა
აქუნდეს, ნუ შეიწყენარებთ მას სახლთა თქუწნთა და გისარო-
დენსა ნუ ეტყვით მათ; არაჲდ ძალითა იესო ქრისტესითა წი-
ნა აღუდგებოდეთ. — ქრისტე, ნათელა ჭეშმარიტო! რომელი განანათლებ
და წმიდა ჰყოფ. ყოველსა კაცსა, განუხვენ ამათ თვალნი სულიერ-
ნი, რათა გიცოდნენ შენ მხალა ჭეშმარიტი ღმერთი. ამინ (*).

მღ. იოანე ბარნაბოკი.

ადროს ამ სოფლის კვალიო, სასმატიონმა და კარატიონმა!
და ნუ მისცეს ღამქრად გასკლა მტერზედაო.

(*) ბ. ტიმ. ბ. გ. ლ. კ.

(*) თქმული თუშეთის ფარსმის ეკვლესიაში, დღესა წმიდის გიორ-
გის სხენებისასა, 1864 წ.

მოძღვრება
თავადის ბესარიონ ვახნაძის განსვენებაზედ (*).

გინათუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ:
გინათუ მოკსწუდებით, უფლისა მიერვე მოკსწუდე-
ბით. გინათუ ცოცხალ ვიყვნეთ, გინათუ მოკს-
წუდეთ, უფლისანი ვართ (რომაელ. 14, 8).

ძმანო ქრისტიანო!

ამა ესე ცხოვრება ჩუქნი იწოდება ზღვად, - და ვის არ გამო-
უცდია ღელვანი ამა ზღვასა ზედა? ვისი ხომალდი არ აღძრულა
ღელვითა დანთქმისათა? რდესმე სიმძიმენი ცოდვათანი, რდესმე
ჩუქულებანი და მოთხოვნილებანი ამა უბედურისა სოფლისანი
ებრძვიან და აძძიმებენ სულსა საწყლისა კაცისასა ვიდრე დანთქმად-
მდე ღელვათა შინა სიბოროტისათა!..

რამ ვაქმნათ ჩუქნ, გლახაკთა მცურაკთა? ვინდამი მივმართოთ,

(*) თქმული ქ. ხილნახ, წმიდის ნინას სობოროში, 14 ნოემბერს
1865 წ.

ვისზედა დახდვით ზრუნვა, ვინ დაატკბობს მწუხარება გულისა ჩუქ-
ნისა? უფლისა მიმართ ღაღად კვყავ დღესა ჭიჭისა ჩემი-
სასა, იტყოდა წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავით. — უფლი-
სადმი ღაღადება, მისდამი მხოლოდ მიღტოლვა უნდა იყოს გან-
ნად ცხოვრებისა ჩუქნისა. გინათუ ცხოველვართ, გინათუ
მოკსწყდებით, უფლისა მიერ ცხოველვართ, და
უფლისა მიერ მოკსწყდებით.

და ესრეთ ვაძხა სიკვდილისასა, ოდესცა ყოველნი აჩრდილნი და
სიამოვნებანი სოფლისანი განქარდებიან, ოდესცა დაჰმთებით ჩუქნ
ჩუქნითა მხოლოდ ხინიღისითა: ვინ განგვატარებს ჩუქნ ბნელსა
შორის და აჩრდილთა სიკვდილისათა? ვინ შეგვიყვანს საუ-
კუნესა შინა განსჩუქნებასა? . . საჭირო არს ჩუქნ ყოველთა-
თვს, ძმანო, ვიცხოვროთ ურთიერთარს სიყვარულით და სიწრთო-
ებით და მოკვლოდეთ განსვლასა ამიერ სოფლით უფლისა თანა. —
საჭიროა მოხსენება ამისი უმეტესად აქა, სადაცა განისვენებს ცხოვ-
რებული უფლისა მიერ და მიცხუალებული უფლისად თავადი ბეს-
რიონ. ამან მიიძინა უფლისა მიერ და განისვენა ყოველთა ღელვა-
თაგან სოფლისათა, და მოელის მისაღებელსა საქმეთა მისთაებრ,
რადცა ჰქმნა — ბოროტი გინა კეთილი, — და დაუტევა მწუხარება
საყუარელსა მეუღლესა თვსსა. გარნა მოვიძიოთ ამისთვს სიტყუა
ნუგეშინისცემისა, განმდევნელი მწუხარებისა გულთაგან ამისთა.
გნეინავ ანუხია, თანა-მემცხედრო განსვენებულისა ამისა! ჩემდა
ცნობილარს ყოველივე მდგომარეობა შენი ხელთა შინა ამა ქრმი-
სათა: ამას ვიტყვი არა საკდემელად ამა განსვენებულისა, არამედ
საქებელად დედა-გაცობისა და მოთმინებისა შენისა. ბრძენი სოლო-
მონ იტყვის, რომელ „დედაკაცი მხნე და გონიერი გვირგვინი არს
ქრმისა თვისისა“. ჭეშმარიტად შენ იყავ ესრეთი დედაკაცი; შენ დაი-
თმინე მრავალნი საკლულებანებისა სიყვარულისათვს ამა განსვენე-
ბულისა, და აწ მომეტებულად გეწია უმეტესი უბედურება: მახვლმან

სიკუდილისამან მოჭკვეთა საყვარელი ესე მეუღლე შენი და მიგცა მწუხარებასა. გარნა შენ იცი ძალი სამღრთოდას წერილისა, რომელი იტყვის: არა მნება ვს, ძმანო, უმეცრება თქუ წნი, რათა არა სწუსდეთ მიცუალებულისათჳს, ვითარცა იგი სხუანი, რომელთა არა აქუნთ სასოება; სასოებასან ჩუწნძან იესო ქრისტემ სიკუდილი ჳყო განსვენებად ჭეშმარიტთა ოჯხთა მოწმუნეთათჳს და გარდაცუალებად ყამიერისა შოფოთიანისა ცხოვრებისაგან ცხოვრებად საუკუნოდ და ნეტარად. ამისთჳს ნუ მისცემ თავსა შენსა უზომოსა მწუხარებასა; ჩუწნცა ყოველნი წარვალთ მასკე გზასა, რომელსა წარმართებულ არს მეუღლე ესე შენი. მხოლოდ ჩუწულებისაებრ შენისა განატარე შენ ცხოვრება შენი სიმხნით, მოთმინებით და გონიერებით კეთილთა საქმეთა შინა, რომელთა აღასრულებ უმთავრესსა მოვალეობასა შენსა წინაჲ ქრისტესა.

